

# ებრაისტიკა-არამეისტიკა (Hebrew-Aramaic Studies)

## BA

სავალდებულო კურსები  
(Compulsorily courses)

### 1. თანამედროვე ებრაული ენა 1 *Modern Hebrew Language 1*

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეასწავლის ებრაული ენის განვითარების ძირითად ეტაპებს, ებრაული დამწერლობის წარმომავლობასა და კვადატული შრიფტის ისტორიას, ებრაულ ანბანს, კითხვის წესებს, ხმოვანთა სისტემას, კონსონანტიზმს, ვოკალიზმს, ფონეტიკურ-ფონოლოგიურ და ნაწილობრივ მორფოლოგიურ კატეგორიებს და სინტაქსურ სისტემებს. სტუდენტი, ასევე, დაეუფლება სასაუბროდ საჭირო საბაზისო ლექსიკურ მარაგს.

### 2. თანამედროვე ებრაული ენა 2 *Modern Hebrew Language 2*

კურსის ფარგლებში სტუდენტი გაიღრმავებს ცოდნას თანამედროვე ებრაული ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ სისტემებში, შეივსებს საბაზისო ლექსიკურ მარაგს; გაიუმჯობესებს და გაიმყარებს ებრაულად წერის, კითხვის, თარგმანის და აზრის გამოხატვის უნარს, უკეთ დაეუფლება ებრაულენოვანი ტექსტის ლინგვისტურ ანალიზს.

### 3. თანამედროვე ებრაული ენა 3 *Modern Hebrew Language 3*

კურსის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს მყარ საბაზისო ცოდნას თანამედროვე ებრაული ენის მორფოლოგიასა და სინტაქსში, შეძლებს ორენოვან ლექსიკონებზე მუშაობას, ზეპირ მეტყველებასთან ერთად გამოუმუშავდეს სხვადასხვა ხასიათის და სირთულის ტექსტზე მუშაობისა და წერილობითი თარგმანის უნარ-ჩვევები.

### 4. თანამედროვე ებრაული ენა 4 *Modern Hebrew Language 4*

კურსის გავლის შედეგად სტუდენტი შეძლებს საფეხურის შესატყვის დონეზე წერით და ზეპირ კომუნიკაციას; ასევე, თანამედროვე ებრაულ ენაზე კონკრეტულ და განსხვავებულ თემებზე შექმნილი ტექსტების კითხვას და საუბრისას მთავარი საკითხების გაგებას.

### 5. თანამედროვე ებრაული ენა 5 *Modern Hebrew Language 5*

კურსის ფარგლებში სტუდენტი გაიღრმავებს ცოდნას თანამედროვე ებრაული ენის ლექსიკის, გრამატიკის, სტილისტიკის საკვანძო საკითხებში; ასევე შეიძენს თანამედროვე ებრაულ ენაზე დაწერილი სხვადასხვა ჟანრისა და სტილის (მათ შორის, მხატვრული ლიტერატურის, პრესის) ტექსტების კითხვისა და მათი დამოუკიდებლად გარჩევის უნარს.

## 6. თანამედროვე ებრაული ენა 6

### *Modern Hebrew Language 6*

კურსის მსვლელობისას მოხდება წინა საფეხურებთან (თანამედროვე ებრაული ენა 1–5) შედარებით ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების ცოდნის კიდევ უფრო გამყარება და ლექსიკური მარაგის გაზრდა, რათა სტუდენტმა შეძლოს ნებისმიერი ტიპის ენობრივი მასალის სასურველი მიზნით დამუშავება, ასევე, ჟანრობრივი, სოციალური, კულტურული და სხვა ნიშნებით განსხვავებული თანამედროვე ტექსტების დედანში წაკითხვა, კომენტირება და თარგმნა.

## 7. ბიბლიის ებრაული ენა

### *Biblical Hebrew*

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ძველი ებრაულის გრამატიკის საფუძვლებსა და ბიბლიის ტექსტების ძირითად ლექსიკას, გამოიმუშავებს ბიბლიის ლექსიკონებზე მუშაობისა და ძველი აღთქმის პროზაული და პოეტური თხზულებების კითხვის, თარგმნისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს.

## 8. არამეული (სირიული) ენა 1

### *Aramaic (Syriac) language 1*

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის არამეული ენის ერთ-ერთ დიალექტს – ედესის დიალექტს, რომელიც სირიული ენის სახელწოდებითაა ცნობილი და რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქრისტიანული აღმოსავლეთის სულიერ ცხოვრებაში. აღნიშნული სამეცნიერო დისციპლინა ითვალისწინებს დაწყებითი კურსის შესწავლას კლასიკურ სირიულ ენაში.

## 9. არამეული (სირიული) ენა 2

### *Aramaic (Syriac) language 2*

კურსის მსვლელობისას სტუდენტი საფუძვლიანად შეისწავლის არამეული (კლასიკური სირიული) ენის მორფოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს – ზმნას, კერძოდ, სწორი სამთანხმოვნიანი, თავისებური ზმნების წარმოებას, უღლებათა პარადიგმებს. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს საშუალო სირთულის ტექსტის თარგმნას და ჩამოუყალიბდება გაუხმოვნებელ ტექსტზე მუშაობის ჩვევები.

## 10. ებრაული ლიტერატურის ისტორია 1

### *History of Hebrew literature 1*

დისციპლინა შეისწავლის ახალ ებრაულ მწერლობას, როგორც უძველესი, ბიბლიური ძირების მქონეს და, იმავდროულად, თანამედროვე ფენომენს, რომელიც დღეს აქტიურადაა ჩართული მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში. კურსის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკვანძო საკითხები, როგორებიცაა: ებრაული კულტურული საგანმანათლებლო

მოდრაობა (ჰასქალა) და მასთან დაკავშირებული ცნობილი ებრაელი ლიტერატორები, ახალებრაული პროზის პრობლემატიკა, ებრაული რომანტიზმი და სხვ.

### 11. ებრაული ლიტერატურის ისტორია 2

#### *History of Hebrew literature 2*

კურსის საშუალებას მისცემს სტუდენტს, დააკვირდეს ლიტერატურული აზროვნების განვითარებას არა მხოლოდ სპეციფიკურ, ვიწრო ნაციონალურ ებრაულ ჩარჩოში, არამედ მსოფლიო მასშტაბით, გამომდინარე იმ ფაქტობრივი გარემოებიდან, რომ ებრაული ლიტერატურული აზრის ფორმირება საუკუნეთა განმავლობაში სრულიად განსხვავებულ კულტურულ რეალიებში ხორციელდებოდა. კურსი გააცნობს სტუდენტს ეპოქის ცნობილი ებრაელი მწერლების მოღვაწეობას და მათ უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ ძეგლებს.

### 12. არამეული (სირიული) ლიტერატურის ისტორია

#### *History of Aramaic (Syriac) literature*

კურსი გულისხმობს სირიული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პერიოდის, IV-VIII საუკუნეების ლიტერატურული ძეგლების, შესწავლას ფილოლოგიური და ისტორიული თვალთახედვით. განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სირიული ლიტერატურის აღმოცენება, სირიული ლიტერატურის აყვავების ხანა (IV-VIII სს.) და მისი დაცემა, სირიელი მწიგნობრები, რომელთა მეშვეობითაც ეზიარა ახლო აღმოსავლეთი ძველ ბერძნულ სამწერლობო ტრადიციებს და სხვ.

### 13. ისრაელის ისტორია

#### *History of Israel*

კურსი მსვლელობის დროს განხილული იქნება შემდეგი საკითხები: პალესტინა, როგორც ებრაელი ხალხისა და იუდაიზმის სამშობლო, მისი ადგილი წინა აზიის ისტორიაში პატრიარქების ეპოქიდან რომის ბატონობის დასასრულამდე. ებრაელი ხალხის განდევნა პალესტინიდან და მისი შედეგები; ებრაელები დიასპორაში; პალესტინა შუა საუკუნეებში და ებრაელები ისლამის გავრცელების შემდეგ; პოლიტიკური სიონიზმის საფუძვლები, მისი როლი ებრაელი ხალხის კონსოლიდაციის საქმეში; თანამედროვე ისრაელის სახელმწიფოს წარმოქმნა და არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის პრობლემა.

### 14. თანამედროვე ისრაელი (პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება)

#### *Israel today (politics, economics, society)*

კურსის ფარგლებში განიხილება პალესტინის ინტერესების დასაცავად არაბულ სამყაროსა და ისრაელს შორის მიმდინარე კონფლიქტის ძირითადი მიზეზები და მათ მოსაგვარებლად XX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოებული სამშვიდობო პროცესების მთავარი ეტაპები; თანამედროვე ისრაელის საშინაო პოლიტიკისა და ეკონომიური

განვითარების თავისებურებები, მისი პოლიტიკური სისტემის და ქვეყნის წინაშე დღეს არსებული მთავარი პოლიტიკური, დემოგრაფიული და ეკონომიური გამოწვევები.

15. *ებრაულიდან ქართულად თარგმნის თეორია და პრაქტიკა*  
*Theory and practice of translating from Hebrew into Georgian*

კურსის ფარგლებში ებრაული ენისა და ლიტერატურის მომავალ სპეციალისტები გაეცნობიან თარგმანის თანამედროვე თეორიებს. სტუდენტი შეიძენს თარგმანის ზოგიერთ ავტომატურ ჩვევას, გაიწაფება მყარ სინტაქსურ და ფრაზეოლოგიურ კონსტრუქციებსა და თანამედროვე ტერმინოლოგიაში, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ოფიციალურ გამოსვლებსა და დიალოგებში, პრესაში, ოფიციალურ და პირად კორესპონდენციაში.

16. *არამეული (სირიულ)-ქართული ლიტერატურული და ენობრივი ურთიერთობები*  
*Aramaic (Syro-Georgian) literary and linguistic relations*

კურსი ვარაუდობს სიღრმისეულად შეასწავლოს სტუდენტს სირიულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს აღმოსავლეთის ქრისტიანული მოსახლეობის ლიტერატურული კონტაქტების შესწავლის საქმეში; ასევე, გააცნოს სტუდენტებს თხზულებათა ქართული და აღმოსავლური ტექსტების კომპარატიული კვლევის საფუძველზე გამოვლენილი თავისებურებები.

17. *სათარჯიმნო პრაქტიკაში თანამედროვე ებრაულ ენაში*  
*Practical course in translation and interpreting in Modern Hebrew*

კურსი გულისხმობს თანამედროვე ებრაულ ენაში პრაქტიკულ წვრთნას, წერილობითი და ზეპირი თარგმანისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. სათანადო სახელმძღვანელოებიდან, მასმედიიდან, ინტერნეტიდან მოპოვებული საშუალო სიძნელის მასალის დამუშავებას, რათა სტუდენტს განუვითაროს მთარგმნელისა და თარჯიმნის პროფესიული უნარ-ჩვევები.

18. *ბიბლიის შესავალი*  
*Introduction to the Bible*

კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა ბიბლიას, როგორც კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის უპირველეს ძეგლს. ამ თვალსაზრისით, განხილული იქნება მთელი რიგი საკითხებისა, კერძოდ: ებრაული ენა და დამწერლობა, კულტურული არეალი, რომელშიც ბიბლიური წიგნები შეიქმნა, ბიბლიური კანონი, ყუმრანის გრაგნილები, ბიბლიის მასორული რედაქცია, ბიბლიის კოდექსები, ძველი აღთქმის სტრუქტურა, ბიბლიის თარგმანებია, ახალი აღთქმის დაბადება და ა.შ.

არჩევითი კურსები  
(Optional courses)

1. *ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები*  
*Historical Relations of the Middle East Countries and Georgia*

(არაბისტიკის, ირანისტიკის, ებრაისტიკა-არამეისტიკის, არმენოლოგიისა და თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგანი)

კურსი შეისწავლის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (არაბული ქვეყნები, ირანი, თურქეთი) საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ურთიერთობის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ასპექტებს; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული) წყაროების გაანალიზებას, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქართველოს შესახებ.

2. *აღმოსავლური კულტურა*  
*Oriental Culture*

(არაბისტიკის, ირანისტიკის, ებრაისტიკა-არამეისტიკის, არმენოლოგიისა და თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგანი)

კურსი შეისწავლის ახლოაღმოსავლური კულტურის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას; სტუდენტები გაეცნობიან მუსლიმ მეცნიერთა წვლილს ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჩამოყალიბებაში, ასევე მუსლიმური კულტურის ზეგავლენას დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ კულტურაზე, არაბულ-მუსლიმური კულტურის გამოვლინების ფორმებს საქართველოში, საქართველოდან გამოსულ მუსლიმთა როლს საერთო მუსლიმური კულტურის შექმნაში.

3. *ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია*  
*Human Geography of the Middle East*

(არაბისტიკის, ირანისტიკის, ებრაისტიკა-არამეისტიკის, არმენოლოგიისა და თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგანი)

კურსი შეისწავლით საქართველოს მეზობელი ვრცელი რეგიონის - ახლო აღმოსავლეთის - სოციალურ, კულტურულ, ისტორიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიას; სტუდენტი შეიძენს ფართო განათლებას ზემოჩამოთვლილი დისციპლინების ფარგლებში და შეძლებს გეოგრაფიულ და ისტორიულ ურთიერთკავშირებში გარკვევას.

4. *ქართული ტექსტის ლინგვისტურ-სტილური ანალიზი 1*  
*Linguistic-stylistic Analysis of the Georgian text 1*

(არაბისტიკის, ირანისტიკის, ებრაისტიკა-არამეისტიკის, არმენოლოგიისა და თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგანი)

კურსი სტუდენტს მისცემს ფართო ცოდნას ქართული ენის გრამატიკის, კერძოდ, სახელთა ჯგუფთან დაკავშირებულ ყველაზე ძირითად საკითხებში; ამასთანავე, კურსი ითვალისწინებს სამეტყველო ენის დახვეწასა და, ზოგადად, ენობრივი კულტურის გაუმჯობესებას.

5. ქართული ტექსტის ლინგვისტურ-სტილური ანალიზი 2  
*Linguistic-stylistic Analysis of the Georgian text 2*

(არაბისტიკის, ირანისტიკის, ებრაისტიკა-არამეისტიკის, არმენოლოგიისა და თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგანი)

კურსის ფარგლებში მოხდება განვლილ საფეხურზე (ქართული ტექსტის ლინგვისტურ-სტილური ანალიზი 1) მიღებული ცოდნის განმტკიცება და გაღრმავება, რაც, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანეს დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, გამოუმუშავდეთ კომპარატიული აზროვნების უნარი. კურსი, აგრეთვე დიდ გავლენას მოახდენს ფილოლოგიური, კერძოდ კი, ლინგვისტური აზროვნების მასშტაბის გაფართოებაში.

6. ლიტერატურატურის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია  
*Typological classification of literature*

(არაბისტიკის, ებრაისტიკა-არამეისტიკისა და თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგანი)

კურსი მოიცავს და განიხილავს ლიტერატურული სისტემის კლასიფიკაციას გვარებად, ჟანრებად და სახეებად. მისი ამოცანაა ცალკეული ლიტერატურული გვარებისა და ჟანრების ზოგად კანონზომიერებათა აღწერა, მსგავსებათა გამოვლენა, განსხვავებათა დიფერენციაცია, ჟანრულ ქვესახეობათა სრულყოფილად წარმოჩენა და გააზრება ეპოქალური მოვლენების კონტექსტში.

7. თანამედროვე არაბი ავტორი ორიგინალში (სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლა)

*Modern Arabic Author in the Original (Syrian-American Literary School)*

(არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგანი)

კურსის მსვლელობისას გათვალისწინებულია სტუდენტის გაწაფვა ორიგინალური, არადაპტირებული არაბული მხატვრული ტექსტის კითხვაში და ამისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავება. ამ მიზნით შერჩეულია სირიულ-არაბული ლიტერატურული სკოლის ორი კორიფეს - ჯებრან ჯებრანისა და ამინ რეიჰანის მცირე ფორმატის მხატვრული პროზა.

8. სირიული დიალექტის ელემენტარული პრაქტიკული კურსი  
*The elementary practical course of Syrian Arabic Dialect*

(არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგანი)

კურსის ფარგლებში სტუდენტი პრაქტიკულად შეისწავლის სირიული დიალექტის სპეციფიკას და საფუძვლებს, რაც გულისხმობს მოცემულ ენობრივ სივრცეში (სირია, ლიბანი, იორდანია, პალესტინელი არაბები) მოქმედი სასაუბრო არაბულის შეთვისებას და მის სრულყოფას.

9. ეგვიპტური დიალექტის ელემენტარული პრაქტიკული კურსი  
The elementary practical course of Egyptian Arabic dialect  
(არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგანი)

კურსი შეასწავლის სტუდენტს ეგვიპტურ დიალექტზე მეტყველების ელემენტარულ უნარებს, რათა ეგვიპტურ გარემოში ყოფნისას კურსდამთავრებულისთვის არ იყოს ძნელი პირველადი საკომუნიკაციო კონტაქტების დამყარება იმ პირებთან, რომელთაც არ იციან სალიტერატურო არაბული, ან ურჩევნიათ ეგვიპტურ დიალექტზე მეტყველება.

10. ნიზამის ენა რომანული პოემების მიხედვით (ტექსტის ლინგვისტური ანალიზი)  
Nizami's language according to romantic poems (Linguistic analysis of text)  
(ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგანი)

დისციპლინა შეისწავლის შუა საუკუნეების სპარსულენოვანი პოეზიის უდიდესი წარმომადგენლის, ნიზამი განჯელის (1141-1209) ენას. ამ თვალსაზრისით, კურსის მსვლელობისას განიხილება პოეტის ორი რომანული პოემა - "ხოსრო ვო შირინი" და "ლეილი ვო მაჯნუნი." შერჩეული ფრაგმენტები გაანალიზებულია ლინგვისტური თვალსაზრისით, რაც მოიცავს ტექსტის დაწვრილებით ანალიზსა და თავისებურებათა გამოყოფას.

11. სპარსული ფოლკლორი  
Persian Folklore  
(ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგანი)

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ირანელების ზეპირსიტყვიერებას. სპარსული ფოლკლორის სწავლება მოიცავს სამ ბლოკს: I. ზოგადი ფოლკლორისტიკის ელემენტები; II. ირანული ფოლკლორისტიკის ისტორია; III. სპარსული ფოლკლორის ნიმუშები.

12. ოსმალური ენა 1  
The Ottoman Turkish Language  
(თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგანი)

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის არაბულ გრაფიკას, კონსონანტთა გადაბმის წესებს, ხმოვანთა სისტემას, მიიღებს საბაზისო ცოდნას ოსმალური ენის ფონეტიკა-ფონოლოგიასა და მორფოლოგიაში. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს ოსმალურად მარტივი ტექსტების კითხვას.

13. ოსმალური ენა 2  
The Ottoman Turkish Language  
(თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგანი)

კურსის ფარგლებში სტუდენტი გაიღრმავებს წინა საფეხურზე (ოსმალური ენა 1) მიღებულ ცოდნას მორფოლოგიაში და შეისწავლის სინტაქსის ძირითად საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ენაში დამკვიდრებულ არაბულ კონსტრუქციებს, არაბული ზმნის თემათა სისტემას. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს ოსმალურად მარტივი ტექსტების კითხვას და გამოუმუშავდება ამ საგანში მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

14. ებრაული და არამეული ენების ისტორიული ფონეტიკა და ფონოლოგია  
History of phonetic and phonology system of Hebrew and Aramaic languages

კურსი შეისწავლის ებრაული და არამეული ენების ფონეტიკისა და ფონოლოგიის ძირითად თავისებურებებს, როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონიულ ჭრილში, გააანალიზებენ სხვა სემიტურ ენებთან ებრაული და არამეული ენის მსგავსება-განსხვავებასა და ურთიერთმიმართებებს.

15. ხეთური ენა 4

*Hittite language 4*

(ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსის მსვლელობისას აქცენტი კეთდება ლექტორის მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა ჟანრის და ნებისმიერი სირთულის ხეთურ ტექსტზე მუშაობაზე, მათ გრამატიკულ-ფილოლოგიურ ანალიზზე. სტუდენტი უნდა გაიწაფოს ტექსტის ლურსმული პირის კითხვაში და შეძლოს ტრანსლიტერაციის გაკეთება ნებისმიერი ხეთური ლურსმული ტექსტისა (იგულისხმება ტექსტი, რომელიც არ არის გამოცემული ან არ ყოფილა ლექცია-სემინარებზე სპეციალურად დამუშავებული).

16. შუმერული ენა 4

*Sumerian language 4*

(ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსის ფარგლებში სტუდენტი გაიღრმავებს და განიმტკიცებს წინა საფეხურებზე (შუმერული ენა 1-3) მიღებულ ცოდნას, რის შედეგადაც იგი შეძლებს დაამუშაოს ნებისმიერი სირთულის შუმერული წერილობითი ძეგლი, რაც გულისხმობს ტექსტის ტრანსლიტერირებასთან ერთად, მისი ტრანსკრიფციის მომზადებას.

17. შუმერული მწერლობა

*Sumerian literature*

(ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსი შეისწავლის შუმერული ენის, შუმერული ლურსმული დამწერლობისა და მწერლობის სხვადასხვა დარგის შესახებ არსებულ ზოგად მახასიათებლებს. სტუდენტი შეიძენს სისტემურ ცოდნას ლურსმული დამწერლობის არსში და გაეცნობა სხვადასხვა შინაარსის მქონე შუმერულენოვანი ტექსტის თავისებურებებს.

18. შუმერული ენიდან თარგმანის თეორია



*Theory of translation into Sumerian Language*  
(ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსი შეისწავლის შუმერული ენის საკვანძო საკითხებს. სტუდენტი წარმოდგენილი მაგალითების გარჩევასა ხელმეორედ დაუბრუნდება შუმერული ენის გრამატიკას და უფრო ღრმად გაიაზრებს ენის სტრუქტურას. გაარჩევს ნაწყვეტებს თარგმნილი ტექსტებიდან შესაბამისი კომენტარებით. შედეგად სტუდენტი გაერკვევა ამ ურთულესი ენიდან თარგმანის საკითხებში. სალექციო კურსი მომზადებულია უახლეს გამოკვლევებზე დაყრდნობით.

*19. გილგამეშის ეპოსი*  
*Epic of Gilgamesh*

(ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსის მსვლელობისას სტუდენტი შეისწავლის და დაამუშავებს სამხრეთ შუამდინარეთის ლიტერატურულ ძეგლებს, კერძოდ ქ. ურუქის ლიტერატურული ტრადიციის გვირგვინს – გილგამეშის ეპოსის ყველა ვერსიას.

*20. აქადური ენა 4*  
*Akkadian Language 4*

(ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსის გავლის შედეგად ბაკალავრი გაიღრმავებს და განიმტკიცებს წინა საფეხურებზე (აქადური ენა 1,2,3) მიღებულ ცოდნას. სტუდენტები წაიკითხავენ აქადურ ენაზე შესრულებულ სხვადასხვა ჟანრის (ლიტერატურულ, ისტორიულ, რელიგიურ, მითოლოგიურ) ტექსტებს, შეისწავლება აღნიშნული ტექსტების ტრანსლიტერირება, ტრანსკრიბირება, გრამატიკული ანალიზი და თარგმანი.

*21. ეგვიპტური ენა 1*  
*Egyptian language 1*

(ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ეგვიპტური ენის გრამატიკის საფუძვლებს, გაეცნობა იეროგლიფური დამწერლობის თავისებურებებს, თანდათან შეაჩვევა იეროგლიფური ტექსტების კითხვას და ტრანსლიტერაციას.

*22. ეგვიპტური ენა 2*  
*Egyptian language 2*

(ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსი, არსებითად, ეგვიპტური ენა 1-ის გაგრძელებაა. მისი გავლის შედეგად სტუდენტი დაეუფლება რთულ გრამატიკულ კონსტრუქციებს და შეივსებს ლექსიკურ

მარაგს. ნასწავლი გრამატიკული და ლექსიკური მასალის განმტკიცდება სათარგმნი ტექსტებითა და სავარჯიშოებით.

### 23. ეგვიპტური ენა 3

#### *Egyptian language 3*

(ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია წინა საფეხურზე (ეგვიპტური ენა 1,2) მიღებული ცოდნის გაღრმავება და განმტკიცება. შედეგად, სტუდენტს საშუალება მიეცემა თარგმნოს ეგვიპტურ ენაზე დაწერილი ნებისმიერი სირთულისა და ჟანრის ტექსტი.

### 24. ურარტული ტექსტები

#### *Uartian texts*

(ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსის ფარგლებში სტუდენტი ურარტული ტექსტების კითხვის მეშვეობით გაეცნობა ურარტული ენისა და დამწერლობის საფუძვლებს, ურარტუს ისტორიასა და კულტურას.

### 25. ასირიოლოგიის შესავალი

#### *Introduction to Assyriology*

(ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსი შეისწავლის ასირიოლოგიის რაობას, მის ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ ჩარჩოებს, თემატიკას, ძირითად პრობლემატიკას და მათი შესწავლის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

### 26. ბუდიზმი

#### *Buddhism*

(შორეული აღმოსავლეთის რეგიონისმცოდნეობის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსი შეისწავლის უძველეს მსოფლიო რელიგიას – ბუდიზმსა და ბუდისტურ სამყაროს, მისი არსის წარმოშობის ისტორიას, მთავარ მიმდინარეობებს, გავრცელების არეალსა და მნიშვნელობას მსოფლიო კულტურის საგანძურში. კურსის ფარგლებში აზიის დიდი სახელმწიფოების (ინდოეთი, ჩინეთი, კორეა, იაპონია) ნიმუშზე განიხილება ბუდიზმის, როგორც ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრების, სპეციფიკური ნიშან-თვისებები ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე.

### 27. იაპონიის ახალი და უახლესი ისტორია

#### *Modern and Contemporary History of Japan*

(შორეული აღმოსავლეთის რეგიონისმცოდნეობის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსი შეისწავლის იაპონიის ისტორიის საკვანძო საკითხებს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების სპექტრში; საერთაშორისო

ურთიერთობების ფონზე (ახალი და უახლესი პერიოდი) ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განიხილება ისტორიული ფაქტები და მოვლენები იაპონიაში ტოკუგავას დინასტიის მმართველობის ხანიდან (1603-1867) მოყოლებული თანამედროვე პერიოდამდე.

### 28. იაპონიის ეკონომიკა

#### *Economic of Japan*

(შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მცოდნეობის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსი შეისწავლის შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების სამეურნეო ცხოვრების იმ ელემენტებს, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ჩამოყალიბდა და ვითარდება; იაპონიის განვითარების მოდელზე დაყრდნობით, სტუდენტები გაეცნობიან თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებებს, ეზიარებიან იაპონიის ეკონომიკური განვითარების მდიდარ გამოცდილებას.

### 29. ჩინეთის ახალი და უახლესი ისტორია

#### *Modern and Contemporary History of China*

(შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მცოდნეობის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსი შეისწავლის ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორცაა ჩინეთის პოლიტიკა I და II მსოფლიო ომში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბება, მათ მედუნის მმართველობა, “კულტურული რევოლუციის” კრაზი, ჩინეთის ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური და ფინანსური რეფორმები, საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები.

### 30. ჩინეთის ეკონომიკა

#### *Economic of China*

(შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მცოდნეობის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსი შეისწავლის შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების სამეურნეო ცხოვრების იმ ელემენტებს, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ჩამოყალიბდა და ვითარდება; საგანგებო ყურადღებაა გამახვილებული ჩინეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებზე; ჩინეთის განვითარების მოდელზე დაყრდნობით, სტუდენტები გაეცნობიან თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებებს, ეზიარებიან ჩინეთის ეკონომიკური განვითარების მრავალფეროვნებასა და გამოცდილებას; წარმოჩნდება მსოფლიო ეკონომიკაში ჩინეთის სამეურნეო განვითარების როლი.

### 31. ევროპელების შეღწევა და ქრისტიანობის გავრცელება შორეულ აღმოსავლეთში

#### *Penetrate of the Europeans and Spread of Christianity in the Far East*

(შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მცოდნეობის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსი შეისწავლის შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში ევროპელების გამოჩენის ისტორიას, ქრისტიანობის გავრცელებასა და მის შემდგომ ბედს შესასწავლ რეგიონში. ყურადღება აქცენტირებულია იმ გარემოებაზე, რომ უძველესი ტრადიციებისა და ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრების მძლავრ კერებში დასავლეთიდან შეღწეულმა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ საგრძნობი გავლენა მოახდინა მათ პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

### *32. ისტორიული ქალაქები და საქალაქო ცხოვრება შორეულ აღმოსავლეთში*

#### *Historical Cities and City Life in the Far East*

(შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მცოდნეობის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი)

კურსი შეისწავლის შორეული აღმოსავლეთის (უმთავრესად ჩინეთისა და იაპონიის) ისტორიულ ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებას. ყურადღება გამახვილებულია ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა: ქალაქების ისტორია, ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება, დემოგრაფია, ვაჭრობა-ხელოსნობა, მმართველობის ფორმები, საქალაქო კულტურა, სანახაობრივ-გასართობი დაწესებულებები და სხვა. შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესწავლილია სხვადასხვა რეგიონისა და ისტორიული პერიოდის ქალაქები, წარმოჩენილია მათი სპეციფიკური ნიშან-თვისებები.